საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის

სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი

არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები

№ 1, ISSN 2233-3266

ყოველი ახალი პერიოდული სამეცნიერო გამოცემა დიდი მოვლენაა ნებისმიერი პროფესიული საზოგადოების ცხოვრებაში. წინამდებარე პერიოდიკის გამოსვლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოში მიმდინარე აღმშენებლობით პროცესში.
დღეს, როდესაც ჩვენს ქვეყანაში მეტად აქტუალურია ქალაქთმშენბლობითი განვითარების, მათ შორის ქალაქების ინფრასტრუქტურული ცვლილებების, ურბანული რეკონსტრუქციის, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების, არქიტექტურული ობიექტების ხარისხის საკითხები, არქიტექტორებისა და ურბანისტების წინაშე მდგარი ამოცანების სწორ გააზრებას და მართებული გადაწყვეტილებების მიღებას, ამ პროცესის სწორ კალაპოტში წარმართვის თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.
20 წელზე მეტი ხანგრძლივობის პაუზის შემდეგ ქართველ არქიტექტორებს და ურბანისტებს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სივრცეში პერიოდული ჟურნალის აღორძინებით, შესაძლებლობა ეძლევათ, არა მარტო სამეცნიერო კონფერენციებზე გამართული დისკუსიებით გააცნონ

თავიანთი ნაფიქრალი პროფესიულ საზოგადოებას, არამედ ამ მეტად აქტუალურ პროცესში ჩართონ საზოგადოების ფართო ფენები, სახელისუფლებო სტრუქტურების წარმომადგენლები, დაინტერესებული პირები.

გულით ვულოცავ ქართველ არქიტექტორებს წინამდებარე პერიოდული ჟურნალის "არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემების" პირველი ნომრის გამოსვლას და იმედს ვიტოვებთ, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეს გამოცემა ჩვენი ქვეყნის ურბანისტული და არქიტექტურული აზრის კონცენტრაციისა და სამეცნიერო პოტენციალის ფოკუსირების მნიშვნელოვანი კერა გახდება.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

რექტორი არჩილ ფრანგიშვილი